საგარეჯოს მუნიციპალიტეტში

ეთნიკური აზერბაიჯანელების საჭიროებების მიმოხილვა

სოციალური
სამართლიანობის
ცენტრი

საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნიკური აზერბაიჯანელების საჭიროებების მიმოხილვა

სოციალური სამართლიანობის ცენტრი

თბილისი, 2023

დოკუმენტი მომზადდა სოციალური სამართლიანობის ცენტრის მიერ, USAID-ის პროგრამის „ერთიანობა მრავალფეროვნებაშია“ ფარგლებში, რომელიც ხორციელდება საქართველოს გაეროს ასოციაციის მიერ, აშშ-ის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით.

დოკუმენტში მოცემული შეხედულებები და მოსაზრებები ეკუთვნის სოციალური სამართლიანობის ცენტრს და არ უნდა აღიქმებოდეს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოსა და საქართველოს გაეროს ასოციაციის პოზიციად.

აკრძალულია აქ მოყვანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, სოციალური სამართლიანობის ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.

ციტირების წესი: *სოციალური სამართლიანობის ცენტრი, „საგარეჯოს მუნიციპალიტეტში ეთნიკური აზერბაიჯანელების საჭიროებების მიმოხილვა“, 2023*

© სოციალური სამართლიანობის ცენტრი

მისამართი: ი. აბაშიძის 12ბ, თბილისი, საქართველო

ტელ.: +995 032 2 23 37 06

www.socialjustice.org.ge

info@socialjustice.org.ge

https://www.facebook.com/socialjustice.org.ge

სარჩევი

შესავალი და მეთოდოლოგია 3

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესახებ 4

სოფელი ლამბალო 5

ზოგადი ინფორმაცია სოფელ ლამბალოს შესახებ 5

სოფელ ლამბალოს საჭიროებები: 5

სოფლები დუზაგრამი და პალდო 9

ზოგადი ინფორმაცია დუზაგრამისა და პალდოს შესახებ 9

სოფელ დუზაგრამისა და პალდოს საჭიროებები: 9

სოფლები მუღანლო და ქეშალო 12

ზოგადი ინფორმაცია სოფელ მუღანლოსა და ქეშალოს შესახებ 12

სოფელ მუღანლოსა და ქეშალოს საჭიროებები: 12

სოფელი კაზლარი 15

ზოგადი ინფორმაცია სოფელ კაზლარის შესახებ 15

სოფელ კაზლარის საჭიროებები: 15

შეჯამება 17

შესავალი და მეთოდოლოგია

სოციალური სამართლიანობის ცენტრის აქტიური მუშაობა არადომინანტური ეთნიკური და რელიგიური ჯგუფების უფლებრივ საკითხებზე აჩვენებს, რომ საქართველოში სხვადასხვა ჯგუფის წინაშე მწვავედ დგას პოლიტიკურ მონაწილეობაზე, სასიცოცხლო რესურსებსა და სოციალურ პროგრამებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა. სოციალური კვლევისა და ანალიზის ინსტიტუტის მიერ 2021 წელს ჩატარებული რაოდენობრივი კვლევის მიხედვით, ეთნიკური უმცირესობები 15%-ით უფრო ღარიბები არიან, ხოლო უმაღლესი/ტექნიკური განათლების მაჩვენებელი უმცირესობებს შორის დაახლოებით 2 ჯერ უფრო ნაკლებია.[1]

ამავე კვლევის მიხედვით, კახეთის ეთნიკურად აზერბაიჯანელ მოსახლეობაში სრული ზოგადი განათლების არმქონე მოსახლეობის რაოდენობა 54%-ს უტოლდება. ხოლო სკოლამდელი განათლება კახეთის ეთნიკური აზერბაიჯანელების 56%-ისთვის ხელმიუწვდომელია.[2] აქვე უნდა ითქვას, რომ კახეთის რეგიონში მცხოვრები ეთნიკური აზერბაიჯანელების საჭიროებები არა მხოლოდ სახელმწიფოს, არამედ ხშირად სხვადასხვა სამოქალაქო და ადამიანის უფლებათა ინსტიტუტის ფოკუსშიც ვერ ხვდება.

კახეთის აზერბაიჯანელი თემის საჭიროებების ფოკუსირებული ანალიზისთვის, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არადომინანტური ეთნიკური ჯგუფებით დასახლებულ სოფლებში: კაზლარი, ლამბალო, ქეშალო, მუღანლო, პალდო და დუზაგრამი, საჭიროებების კვლევა ჩაატარა. ეს სოფლები ოთხ ადმინისტრაციულ ერთეულშია გაერთიანებული, თუმცა ადგილობრივი მოსახლეობა მათ ერთიან სივრცედ ხედავს და აზერბაიჯანულ ენაზე მოიხსენიებს, როგორც გარაჩოფი (იორმუღანლო). ამის ერთ-ერთი მიზეზი, შესაძლოა, ისიც იყოს, რომ სოფლებს შორის არ არსებობს ფიზიკური და გეოგრაფიული გამყოფი ხაზები და ხშირად იქაურებისთვისაც რთულია გაავლონ მკვეთრი ხაზი სოფლებს შორის.

ამ სოფლებში მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი სოფლის მეურნეობას მისდევს, განსაკუთრებულად კი მეცხოველეობას. ამასთანავე, სოფლის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია სხვადასხვა ტიპის მცირე სამეწარმეო საქმესა და ვაჭრობაში. იორმუღანლოს შესასვლელში იმართება ბაზრობა, რომელიც მნიშვნელოვანი სივრცეა ახლომდებარე ქართული სოფლებისთვისაც. სოფელში არის საავადმყოფოც, რომელიც რამდენიმე წლის წინ ადგილობრივი მცხოვრებლების დაფინანსებით გაიხსნა. სოფელში მოქმედებს 8 მეჩეთი, საიდანაც 2 შიიტური, ხოლო 6 სუნიტური ისლამის სკოლას მიეკუთვნება.

კახეთის რეგიონში მცხოვრებ აზერბაიჯანელებს შორის სკოლის დამთავრების დაბალი მაჩვენებლის მიუხედავად, იორმუღანლოელი ახალგაზრდები, 2010 წლიდან მოყოლებული, ყოველ წელს საუკეთესო შედეგებს იღებენ ერთიანი ეროვნული გამოცდების 1+4 პროგრამის

---

[1] ფირანიშვილი, თ; ბარბაქაძე, ზ. 2023, ეთნიკური უმცირესობების სოციალური და ეკონომიკური ექსკლუზია, ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebis-sotsialuri-da-ekonomikuri-ekskluzia

[2] იქვე.

ფარგლებში, რაც მოსახლეობის განმარტებით,, ადგილობრივი მასწავლებლების აქტიური მუშაობით აიხსნება.

წინამდებარე საჭიროებების კვლევა, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და ცენტრალურ უწყებებთან წარდგენისა და ადვოკატირების მიზნით, შეისწავლის სოფელში არსებულ პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ გამოწვევებს. იმისათვის, რათა საჭიროებების რუკა ადგილობრივი მოსახლების გამოცდილებასა და ცოდნაზე ყოფილიყო დაფუძნებული, სოციალური სამართლიანობის ცენტრმა გამოიყენა ანალიზის შემდეგი მეთოდოლოგია:

• თემის პრობლემების გამოსავლენი კითხვარი

• KWHW[3] (რა ვიცით, რა უნდა შეიცვალოს, როგორ უნდა შეიცვალოს, ვინ უნდა შეცვალოს) ანალიზის მეთოდი

ეს მეთოდები თემის საჭიროებების, მოსახლეობის უშუალო მონაწილეობით და მაქსიმალურად სისტემურად დანახვის საშუალებას გვაძლევს. თემის პრობლემების გამოსავლენი კითხვარი მიზნად ისახავს შეისწავლოს და გამოკვეთოს არა მხოლოდ სოფელში არსებული პრობლემების სიმპტომები, არამედ სიღრმისეული საფუძვლები და გამომწვევი მიზეზები. KWHW ანალიზის მეთოდი, თავის მხრივ, გამოყენებულია, რათა პრობლემების გამოვლენის პროცესში გავიგოთ სოფლის მცხოვრებთა აზრი, თუ როგორ წარმოუდგენიათ პრობლემების მოგვარება და ვინ არის პასუხისმგებელი მათ მოგვარებაზე. კვლევის ფარგლებში ჩატარდა 8 ფოკუს ჯგუფი. კვლევაში მონაწილეობა მიიღო სულ 63 ადამიანმა, მათგან 26 ქალი იყო და 37 კაცი. ფოკუს ჯგუფებში მონაწილეობდა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფის პოპულაცია, როგორც ახალგაზრდები, ისე ასაკოვანი მოსახლეობა.

ქვემოთ ინფორმაცია წარმოდგენილია ისე, როგორც ის არტიკულირებული და გაზიარებული იყო ადგილობრივი თემების მიერ.

საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შესახებ

საგარეჯოს მუნიციპალიტეტი კახეთის რეგიონს მიეკუთვნება. მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში შედის ქალაქი საგარეჯო და 25 ადმინისტრაციული ერთეული (ჯამში 48 სოფელი). მუნიციპალიტეტის მოსახლეობის საერთო რაოდენობა, 2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, 51 761 ადამიანს შეადგენს,აქედან მოსახლეობის 33,2%-ს ეთნიკური აზერბაიჯენელები შეადგენენ. [4]

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედებს 29 საბავშვო ბაღი, აქედან მხოლოდ ერთი - იორმუღანლოში. ამასთანავე, 2022 წლიდან ლამბალოში ორი ალტერნატიული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულება მოქმედებს. საგარეჯოში ფუნქციონირებს 26 საჯარო სკოლა, აქედან 4 იურმუღანლოში. ამ ოთხი სკოლიდან სამის დირექტორი ეთნიკურად აზერბაიჯანელია.

[3] Know, What, How, Who

[4] 2014 წლის საყოველთაო აღწერის შედეგები, ხელმისაწვდომია: https://www.geostat.ge/media/20679/2014-wlis-aRweris-ZiriTadi-Sedegebi.pdf

საქართველოს პარლამენტში საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მაჟორიტარი დეპუტატია დავით სონღულაშვილი. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მერია ავთანდილ გულიკაშვილი. საკრებულოს თავმჯდომარე - ალექსი გილაშვილი. საგარეჯოს საკრებულოს 39 წევრიდან მხოლოდ 4 წევრია ეთნიკურად აზერბაიჯანელი, მათ შორის არცერთი არ არის ქალი. აზერბაიჯანელი დეპუტატები საკრებულოში არ იკავებენ არცერთ თანამდებობას და არც საკრებულოს ბიუროს წევრები არიან. აღსანიშნავია, რომ არც მერს ჰყავს ეთნიკურად აზერბაიჯანელი მოადგილე ან მრჩეველი. ასევე, მერიის არცერთი სამსახურის თუ განყოფილების უფროსი არ არის ეთნიკურად აზერბაიჯანელი. ადგილობრივი თემის ინფორმაციით, საგარეჯოს მუნიციპალიტეტში არ არის დასაქმებული არცერთი ეთნიკურად აზერბაიჯანელი, გარდა მერის წარმომადგენლებისა მათ სოფლებში და სამხედრო აღრიცხვის სპეციალისტისა.

სოფელი ლამბალო

ზოგადი ინფორმაცია სოფელ ლამბალოს შესახებ

სოფლები ზემო და ქვემო ლამბალო გაერთიანებულია ლამბალოს ადმინისტრაციულ ერთეულში. ადმინისტრაციული ერთეული შედის საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან 35 კილომეტრითაა დაშორებული. ორივე სოფელში ერთად 8934 ადამიანი ცხოვრობს, რაც საგარეჯოს შემდეგ, მუნიციპალიტეტის ყველაზე მრავალრიცხოვანი დასახლებული პუნქტია. ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედებს ერთი საჯარო სკოლა. სოფელში მოქმედებს იუსტიციის სამინისტროს საზოგადოებრივი ცენტრი. სოფელში ასევე მოქმედებს ერთი სუნიტური მეჩეთი.

სოფელ ლამბალოს საჭიროებები:

1. *<u>(აღქმა) საკითხი, რომელიც აღიქმება თემში პრობლემად</u>*

პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა: მოსახლეობასთან საუბარში ვლინდება, რომ პოლიტიკურ და საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა მოსახლეობისთვის არსებით გამოწვევებს უკავშირდება. მათი თქმით, ადგილობრივ თვითმმართველობამდე საკუთარი პრობლემების მიტანა გართულებულია.. მოსახლეობა ასევე ამბობს, რომ სოფელში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებთან დაკავშირება და მათთან პრობლემებზე საუბარი ადგილობრივი მცხოვრებლებისთვის ხშირად ასევე პრობლემურია. ადგილობრივ თვითმმართველობაში ადგილობრივი თემის მონაწილეობის სტრუქტურულ დაბრკოლებს ქმნის ის, რომ მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციაში უმცირესობების წარმომადგენელები დასაქმებულნი არ არიან და არ არსებობს არც უმცირესობების ენაზე საჭირო თარგმანის რესურსები. მერის რწმუნებულები კი, ხშირად თავად არიან მუნიციპალიტეტსა და მოსახლეობას შორის ხიდჩატეხილობის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი. ცხადია, რომ ეს სისტემური გამოწვევები თემსა და ადგილობრივ ხელისუფლებას შორის უნდობლობისა და უიმედობის კლიმატს ქმნის, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან კრიტიკულად არის გასააზრებელი და შესაცვლელი.

სასმელი და სარწყავი წყალი: სოფელ ლამბალოში ერთ-ერთ უმთავრეს პრობლემად მოიაზრება სასმელი და სარწყავი წყალი. მოსახლეობა აცხადებს, რომ ისინი იძულებულნი არიან,

სახლამდე მანქანებით, ურმით ან ხელით მიიტანონ სასმელი წყალი. ასევე ამბობენ, რომ მიუხედავად იმისა, რომ წლებია ითხოვენ ხელისუფლებისგან სასმელი წყლისპრობლემის მოგვარებას, და პოლიტიკოსებიც, წინასაარჩევნო პერიოდში პირდებიან მოსახლეობას, რომ ექნებათ სასმელი წყალი, ისინი ჯერ კიდევ სასმელი წყლის გარეშე რჩებიან. სასმელ წყალთან ერთად პრობლემურია სარწყავი წყალიც.

2. *(რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტ ადამიანს აწუხებს თემში*

სკოლამდელი განათლება: ლამბალოში ყველაზე მეტ ადამიანს სკოლამდელი სასწავლო დაწესებულებების არარსებობის საკითხი აწუხებს. მოსახლეობასთან საუბარში ირკვევა, რომ კომპანია „სოკარ ჯორჯია“ იწყებს ლამბალოში სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობას. მოსახლეობის ნაწილი ამ ფაქტს მიესალმება, თუმცა ადგილობრივი აქტივისტების ნაწილი აცხადებს, რომ სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობაზე პასუხისმგებლობა საქართველომ უნდა აიღოს და ამ საკითხზე საქართველო არ უნდა იყოს დამოკიდებული მეზობელი ქვეყნის კეთილ ნებაზე.

სოფელ ლამბალოში, რამდენიმე წლის წინ, **საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით,** სკოლის ახალი შენობა აშენდა. მოსახლეობა მადლიერია, თუმცა, სკოლა უკვე საჭიროებს რემონტს. გამოკითხულები ასევე **დადებითად აფასებენ** გარე განათების საკითხის მოგვარებას.

3. *(ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც თემს ყველაზე დიდი ხანია აწუხებს*

წვდომა სასოფლო-სამეურნეო მიწებზე: ისტორიულ პრობლემად სახელდება სასოფლო-სამეურნეო მიწებზე ხელმისაწვდომობა. იორმუღანლოს მოსახლეობისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწები, არსებითი მნიშვნელობის რესურსია, თუმცა მოსახლეობის თქმით, სოფლის მიწები (სახნავ-სათესი და საძოვრები) წლებია, უსამართლოდ და უკანონოდ სხვისდება, მათ კი საკუთარი ინტერესების დაცვა არ შეუძლიათ. მიწის საკითხი აწუხებს გამოკითხულთა მნიშვნელოვან ნაწილს. სოფელში ხშირია ოჯახები, რომელთა მნიშვნელოვან ნაწილს არ აქვს დამატებითი სოფლის მეურნეობის მიწა, გარდა საკარმიდამო ნაკვეთისა. ისინი აცხადებენ, რომ სოფელში უკვე სახლის ასაშენებელი მიწაც კი აღარ მოიპოვება. მათი აზრით, სოფლის მეურნეობაში ჩართვა და საკუთარი მეურნეობის განვითარება იმ პირობებში, როცა სარწყავი სისტემა არ არსებობს, მიწების დიდი ნაწილი კი პრივატიზებულია კონკრეტული პირების საკუთრებაში, მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის შეუძლებელია.

სოფლის შიდა გზები: ლამბალოში ჩატარებული ინტერვიუების მიხედვით, ისტორიულ პრობლემებს შორის იკვეთება სოფლის შიდა გზების, სასმელი წყლისა და საბავშვო ბაღის პრობლემა. შიდა გზებთან დაკავშირებით ამბობენ, რომ სოფლის დიდ ნაწილში გზები გაუვალია და მნიშვნელოვანია მათი მოწესრიგება. მოსახლეობის თქმით, სხვა გზებთან ერთად, პირველ რიგში უნდა შეკეთდეს ლამბალოს სასაფლაომდე მისასვლელი გზა.

4. *(სიხშირე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება თემში*

იორმუღანლოში შესასვლელი ხიდის მდგომარეობა: იორმუღანლოს მთელ ტერიტორიაზე, და სოფელ ლამბალოშიც, ყველაზე ხშირად საუბრობენ სოფელში შემოსასვლელი ხიდის ავარიულ მდგომარეობაზე. ეს საკითხი აერთიანებს სხვადასხვა დაინტერესებულ ჯგუფებს,

როგორიცაა მასწავლებლები, რელიგიური ლიდერები, ახალგაზრდები, აქტივისტები, ქალები, ფერმერები და ა.შ. სოფელში შემოსასვლელი ხიდი მართლაც ავარიულ მდგომარეობაშია, სამხარაულის ბიუროს ექსპერტიზის მიხედვითაც, ხიდი საფრთხეს უქმნის მოსახლეობის ჯანმრთელობას, მაგრამ ამ პრობლემის მოსაგვარებლად სამუშაოები ჯერ კიდევ არ დაწყებულა.

რამდენიმე წლის წინ, ერთ-ერთმა ქალმა აქტივისტმა იორმუღანლოდან, ამ საკითხთან დაკავშირებით ოფიციალური წერილით მიმართა ადგილობრივ თვითმმართველობას. ამასთანავე, ახალგაზრდების ნაწილმა ადვოკატირების კამპანია წამოიწყო, ამ საკითხის თვითმმართველობის დღის წესრიგში დასაყენებლად, მათ ვიდეორგოლებიც მოამზადეს. თუმცა, აქტივისტების ცნობით, თვითმმართველობის მხრიდან მათ ამ აქტივობას შესაბამისი ნაბიჯები არ მოჰყოლია.

ნარჩენების მართვა: ლამბალოში ასევე აქტიურად საუბრობენ ნაგვის ურნების არარსებობის პრობლემაც, რომელსაც მოსახლეობა განსაკუთრებით ითხოვს სოფლის შიდა ქუჩებში. ახალგაზრდები აცხადებენ, რომ ისინი ცდილობენ სხვადასხვა აქტივიზმით და სამუშაოებით, როგორიცაა დასუფთავების აქციები, დაანახონ თვითმმართველობას, რომ სოფელში მწვავედ დგას ნაგვის ურნების საჭიროება.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: ლამბალოს სტუდენტების შეფასებით, ერთ-ერთი მნიშვნლეოვანი საკითხი, რაც მათ აწუხებთ, ტრანსპორტირების საკითხია. მოსახლეობის ნაწილისთვის, ვისაც საკუთარი ავტომობილები არ აქვთ, საჯარო ტრანსპორტის არ არსებობა, მობილობის პრობლემას ქმნის და განვითარების შესაძლებლობებს უზღუდავს. სტუდენტები, რომლებსაც სასწავლებელში სიარული უწევთ, სასწავლო დაწესებულებებამდე შეუფერხებლად მგზავრობისთვის, იძულებულები არიან მათთვის მაღალი თანხები გადაიხადონ კერძო ტაქსების მომსახურებაში.

5. *<u>(სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია</u>*

საძოვრები და იალაღები: ლამბალოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი ჩართულია მეცხოველეობაში. ეს საგარეჯოს აზერბაიჯანელი მოსახლეობის ტრადიციული სამეურნეო საქმიანობაა. საქონლის რაოდენობიდან გამომდინარე, მოსახლეობა ხშირად იყენებს საზაფხულო და ზამთრის იალაღებს საქართველოს სხვადასხვა რეგიონებში. თუმცა მათთვის არსებითად მნიშვნელოვანია მიწის რესურსები და საძოვრები საგარეჯოშიც. ყველაზე მძიმე პრობლემებს შორის სახელდება მეცხვარეების უმთავრესი გამოწვევა - ზაფხულისა და ზამთრის საძოვრების ნაკლებობა. მოსახლეობა ამბობს, რომ ხშირად მიწებს იჯარით იღებენ ისეთი ადამიანები, რომლებსაც ცხვარი არ ჰყავთ, მეცხვარეები კი იძულებულები არიან, რომ შემდეგ შუამავლებთან გააფორმონ ქვე-იჯარა გაცილებით უფრო მაღალ ფასებში. ეს იმითაც არის გამოწვეული, რომ მოსახლეობის მნიშვნელოვანმა ნაწილმა არ იცის სახელმწიფო ენა, ამასთანავე, მათთვის ხელმიუწვდომელია ინფორმაცია იჯარით გასაცემი მიწის შესახებ, რადგანაც ამ საკითხზე სახელმწიფო ადგილობრივ ფერმერებთან აქტიურად არ მუშაობს. მეცხოველეობა საგარეჯოს აზერბაიჯანელი თემის ტრადიციული საქმიანობაა. ისინი ხშირად ეწევიან მომთაბარე ცხოვრებას, თუმცა მიწებზე ფასების ზრდისა და შუამავლების მიერ

მაღალი ფასების დაწესების გამო, მოსახლეობის ნაწილი თავს ანებებს მეცხოველეობას. ხშირია ბანკის ვალებიც, რადგანაც მოსახლეობა იძულებულია მაღალი ფასი გადაუხადოს შუამავლებს საძოვრებისთვის.

გადასარეკი ბილიკები: საძოვრების საკითხს უკავშირდება გადასარეკი ბილიკების პრობლემაც. ადგილობრივი მცხოვრებლები ამბობენ, რომ ცხვრის გადასარეკი ბილიკები სახელმწიფომ გარკვეული პერიოდის განმავლობაში გაყიდა. შედეგად, ხშირია კონფლიქტები მიწის ახალ მესაკუთრეებსა და მეცხვარეებს შორის. მეცხვარეები ხშირად იძულებულნი არიან, ცხვრის გადაყვანის დროს გადასარეკი ბილიკების უპრობლემოდ გამოყენების სანაცვლოდ, რამდენიმე სული ცხვარი აჩუქონ ადგილზე მცხოვრებ მოსახლეობას, რაც მათში იწვევს უსამართლობისა და უკმაყოფილების განცდას.

სახანძრო დახმარების მანქანები: ფოკუს ჯგუფების დროს, მონაწილეები ხშირად საუბრობდნენ სოფელში სახანძრო მანქანის საჭიროებაზე. მათი თქმით, ბოლო წლებში სოფელში რამდენიმე სახლი დაიწვა, ხოლო სახანძრო მანქანა მხოლოდ ყველაფრის დასრულების შემდეგ მივიდა ადგილზე.

6. *(თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას*

სხვა სოფლებთან შედარებით ნაკლები ყურადღება: ლამბალოს მოსახლეობაში ძლიერია განცდა, რომ ბაზისური ინფრასტრუქტურის პრობლემა ყველა სხვა ქართულ სოფელში უფრო მეტად არის მოგვარებული, ვიდრე მათ სოფლებში. ფოკუს ჯგუფების დროს, მოსახლეობა ამ უთანასწორობას თავიანთ ეთნიკურ კუთვნილებას უკავშირებს. ამასთანავე, სოფელ დუზაგრამსა და მუღანლოში სასმელი წყლის საკითხიც მოგვარებულია, ხოლო ლამბალოში არცერთი ამ მიმართულებით მუშაობაც კი არ დაუწყიათ. ლამბალოს მოსახლეობა ასევე ითხოვს პარკებსა და სკვერებს, როგორც სხვა სოფლებშია მოწყობილი, თუმცა იქვე ამბობენ, რომ სოფელში ისეთი პრობლემებია დაგროვილი, რომ პარკზე და სკვერზე ლაპარაკი შეუძლებელია და უმჯობესია, ბაზისური ინფრასტრუქტურული და სოციალური საკითხების პრიორიტეტიზაცია მოხდეს.

7. *(გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს*

ქალების ყოფა: იორმუღანლოში ქალების უფლებრივი მდგომარეობა მნიშვნელოვანი გამოწვევებით ხასიათდება. ქალების აბსოლუტური უმრავლესობის უფლებები ირღვევა, როგორც თემის შიგნით დამკვიდრებული პატრიარქალური ნორმებითა და ცრუ ტრადიციებით, ისე სახელმწიფოს გულგრილი პოლიტიკის შედეგად გამოწვეული სისტემური დისკრიმინაციით. ლამბალოში მცხოვრები ქალები ძირითადად შიდა მეურნეობაში არიან დასაქმებულნი, რომელიც თავად თემში მნიშვნელოვან შრომად არ აღიქმება. ლამბალოში გოგონების განათლება არ არის მხარდაჭერილი, თუმცა არის გამონაკლისებიც. საბავშვო ბაღების არარსებობა დამატებით ტვირთად აწვებათ ქალებს, რომლებიც ყოველდღიური საოჯახო და სოფლის მეურნეობის სამუშაოების პარალელურად, იძულებულნი არიან იზრუნონ შვილების აღზრდაზე. ქალები აცხადებენ, რომ გოგონების ადრეულ ასაკში ქორწინება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა იყო თემში წლების განმავლობაში. თუმცა ბოლო პერიოდში ეს პრაქტიკა მოირღვა და ასეთი შემთხვევები იშვიათად გვხვდება.

მომთაბარე ცხოვრება განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება ქალებს, რომლებიც მთაში ყოფნის დროს ვერ ახერხებენ საკუთარ ჯანრთელობაზე ზრუნვას და ექიმთან მისვლას. ეს ხშირად სიღარიბესთან და რესურსების არარსებობასთანაც არის დაკავშირებული.

სოფლები დუზაგრამი და პალდო

ზოგადი ინფორმაცია დუზაგრამისა და პალდოს შესახებ

სოფლები დუზაგრამი, წიწმატიანი (გარაბაღლო) და პალდო გაერთიანებულია დუზაგრამის ადმინისტრაციულ ერთეულში. საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემადგელობაში შემავალი ეს ადმინისტრაციული ერთეული მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან 35 კილომეტრითაა დაშორებული. სამივე სოფელში ერთად 3509 ადამიანი ცხოვრობს. ადმინისტრაციულ ერთეულში ერთი საჯარო სკოლაა. სოფელში მოქმედებს ერთი სუნიტური და ერთი შიიტური მეჩეთი.

სოფელ დუზაგრამისა და პალდოს საჭიროებები:

1. *<u>(აღქმა) საკითხი, რომელიც აღიქმება თემში პრობლემად</u>*

სოფლის შიდა გზები: სოფელ დუზაგრამსა და პალდოში პრობლემად სახელდება გზის საკითხი. გამოკითხულთა თქმით, სოფლების მოსახლეობა უკვე მიეჩვია უგზოობას და ამ საკითხს არც კი აყენებს შესაბამის უწყებებთან, თუმცა ხედავენ, რომ სხვა სოფლებში შიდა გზების რეაბილიტაცია ხშირია, მათ კი მოასფალტებული გზა არასდროს ჰქონიათ. გზაზე საუბრისას ამბობენ, რომ ეს საკითხი თანაბრად აწუხებთ შეძლებულ და ღარიბ ოჯახებს. ისინი, ვისაც მანქანა ჰყავთ, ყოველ წელს მნიშვნელოვან ფინანსებს ხარჯავენ მანქანების სავალი ნაწილების შესაკეთებლად, ხოლო მათ, ვისაც არ ჰყავთ მანქანა, მნიშვნელოვნად ურთულდებათ გადაადგილება სოფლის შიგნითაც კი.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: მონაწილეების აზრით, საზოგადოებრივი ტრანსპორტი ყველაზე მეტად ამ ორ სოფელს სჭირდება, რადგანაც, სწორედ ეს სოფლებია ყველაზე მეტად დაშორებული იორმუღანლოს ცენტრს და ახალგაზრდებისთვის გართულებულია სოფლის შიგნით, მუნიციპალიტეტსა, თუ დედაქალაქის მიმართულებით გადაადგილება.

მოსახლეობა **დადებითად აფასებს** გარე განათების პრობლემის მოგვარებას, ისევე როგორც სოფლის ნაწილში ნაგვის ურნების განთავსებას, თუმცა ამბობენ, რომ ურნები სოფლის შიდა ნაწილში არ არის და აუცილებელია, რომ დროთა განმავლობაში სოფლის ყველა ნაწილში განთავსდეს ისინი.

2. *<u>(რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტ ადამიანს აწუხებს თემში?</u>*

სასოფლო-სამეურნეო მიწა: ორივე სოფლის მოსახლეობაში ყველაზე მეტ ადამიანს სასოფლო-სამეურნეო მიწის არარსებობის საკითხი აწუხებს. გამოკითხულები აცხადებენ, რომ მიწებს უსამართლოდ ითვისებს მერის რწმუნებული სოფელში, რომელსაც 90 ჰექტარზე მეტი მიწა

აქვს მისაკუთრებული.[5] მოსახლეობამ რამდენჯერმე მიმართა შესაბამის ორგანოებს ამ საკითხთან დაკავშირებით. სოციალური სამართლიანობის ცენტრმა შეისწავლა ეს საკითხი და საქართველოს პროკურატურას მიმართა, თუმცა ჯერჯერობით შესაბამისი პირების პასუხისმგებლობა არ დამდგარა. მიწის არარსებობის პირობებში, მოსახლეობას ურთულდება ეკონომიკური საქმიანობაც. ისინი ხშირად იჯარით იღებენ მიწას, რომელზეც აგროკრედიტის აღება ურთულდებათ, შესაბამისად, მიმართავენ მიკროსაფინანსო ორგანიზაციებს, რომლებიც უფრო მაღალი პროცენტით გასცემენ სესხს. მაღალი პროცენტის გამო, მოსახლეობას ხშირად უჭირს ბანკის ვალების გადახდა.

უმუშევრობა: მიუხედავად იმისა, რომ რვავე სოფელი ერთიან დასახლებად აღიქმება მთელ იორმუღანლოში, დუზაგრამის და პალდოს სოციალური და ეკონომიკური ყოფა განსხვავდება დანარჩენი სოფლებისგან. მოსახლეობა აცხადებს, რომ ამ ორ სოფელში მეცხვარეობა წამყვანი დარგი აღარ არის, რადგანაც ორივე სოფლის მცხოვრებლების მნიშვნელოვანი ნაწილი, 90-იან წლებში საცხოვრებლად აზერბაიჯანში გადავიდა და ნაწილმა კი ფერმერული საქმიანობა ვერ გააგრძელა, რადგან ვერ მიიღო მიწები იჯარით ან საკუთრებაში. გამოკითხულთა ნაწილის მიხედვით, ადგილობრივი მოსახლეობის აზერბაიჯანში საცხოვრებლად გადასვლის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი 90-იან წლებში საქართველოში არსებული სოციალურ-ეკონომიკური კრიზისი და შოვინისტური რიტორიკა და პოლიტიკა იყო. ამასთანავე, მოსახლეობის ნაწილისთვის აზერბაიჯანში საცხოვრებლად გადასვლა შვილებისთვის განათლების ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფასთან იყო დაკავშირებული. ბოლო წლების განმავლობაში, მოსახლეობამ საკუთარ სოფლებში დაბრუნება გადაწყვიტა (ერთი მხრივ, საქართველოში მიმდინარე რეფომებისა და სახელმწიფო ინსტიტუტების გაძლიერების, ხოლო მეორე მხრივ კი, აზერბაიჯანის რესპუბლიკაში მოქალაქეობის ვერ მიღების გამო). თუმცა, იმ პირობებში, როცა დაბრუნებულ მოსახლეობას არ აქვს მიწის რესურსები, ეს დუზაგრამისა და პალდოს მოსახლეობის ეკონომიკურ მდგომარეობას აუარესებს.

(ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც თემს ყველაზე დიდი ხანია აწუხებს

სკოლამდელი განათლება: ორივე სოფლის მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფლებში სკოლამდელი განათლების დაწესებულების არარსებობა ყველაზე ხანგრძლივი პრობლემაა. სოფლის მოსახლეობა კმაყოფილია სკოლით და მასწავლებლებით, ასევე **გამოხატავენ მადლიერებას** ხელისუფლების მიმართ, რამდენიმე წლის წინ მათი სკოლის გარემონტების გამო. თუმცა აცხადებენ, რომ სკოლამდელი განათლება მათი ბავშვებისთვის აუცილებელია. მათივე თქმით, მუღანლოს საბავშვო ბაღში დუზაგრამისა და პალდოს ბავშვებისთვის ადგილები არასდროს არის.

3. *(სიხშირე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება თემში*

სოფელში შესასვლელი ხიდი: როგორც ლამბალოში, დუზაგრამის და პალდოს მოსახლეობაც ერთ-ერთ მთავარ პრობლემად სოფლის შესასვლელში დამონტაჟებული ხიდის ავარიულ

[5] ამ საკითხზე ჟურნალისტურ გამოძიების შედეგები ხელმისაწვდომია ამ ბმულზე: https://ifact.ge/duzagrama/?fbclid=IwAR21dsC6Npj5xG_EXQ45fa-57Xhb7ZNZWizqOLM3FaYivh1kknU8B3K0Sa4

მდგომარეობას ასახელებს. როგორც ამბობენ, ამ ხიდზე გადასვლის დროს მათ მუდმივად აქვთ შიში, რომ შესაძლებელია ხიდი ჩამოინგრეს და ადამიანების სიცოცხლე და ჯანმრთელობა შეიწიროს. სოფელში ფიქრობენ, რომ ხიდის დაზიანების მთავარი მიზეზი სატვირთო მანქანებია. მოსახლეობა ამბობს, რომ ხიდის დროული რეაბილიტაცია და გამაგრება სახელმწიფოს ძირითად პრიორიტეტებში უნდა მოექცეს.

სასმელი და სარწყავი წყალი: დუზაგრამსა და პალდოში, იორმუღანლოს დანარჩენი სოფლებისგან განსხვავებით, სასმელი წყალი მოსახლეობას გრაფიკით მიეწოდება. თუმცა, ხშირია შემთხვევები, როცა წყლის მიწოდება რამდენიმე კვირის განმავლობაში წყდება. მოსახლეობა ჩივის, რომ სარწყავი არხების და შესაბამისი წყლის რესურსის არარსებობის გამო, არც საკარმიდამო ნაკვეთების მორწყვა შეუძლიათ. შესაბამისად, წვიმის იმედზე არიან, თუ იწვიმებს, საკუთარ საკარმიდამო მიწაზე მოიყვანენ მოსავალს, თუ არ იწვიმებს - ვერა.

4. *(სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია*

მერის რწმუნებულისა და მისი ოჯახის წევრების თვითნებობა: ორივე სოფლის მოსახლეობა განსაკუთრებით პრობლემურად საუბრობს მერის რწმუნებულის, მუხტარ ისმაილოვის შესახებ, რომელიც, მათი თქმით, ბოროტად იყენებს საკუთარ თანამდებობას და ისაკუთრებს სოფლის მიწებს, ჩაგრავს ყველაზე მოწყვლად მოსახლეობას და არ ასრულებს საკუთარ მოვალეობებს. ამასთანავე, სოფელში მერის რწმუნებულის შვილი ადგილობრივი პოლიციის თანამშრომელია და როცა ვინმე სოფლის შიგნით ხმას იმაღლებს რწმუნებულის წინააღმდეგ, მისი შვილი ასევე ბოროტად იყენებს საკუთარ უფლებამოსილებას თანასოფლელის წინააღმდეგ. სახელმწიფოს წარმომადგენლები სოფელში „წესრიგს“ ასე ინარჩუნებენ. ამგვარი რეალობა აღრმავებს ადგილობრივი მოსახლეობის უნდობლობას სახელმწიფო ინსტიტუტების მიმართ.

5. *(თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას*

ჩვენ უფრო მძიმე მდგომარეობაში ვართ, ვიდრე დანარჩენი იორმუღანლო: დუზაგრამისა და პალდოს მოსახლეობა აცხადებს, რომ ისინი უფრო მძიმე სოციალური და ეკონომიკური გამოწვევების წინაშე დგანან, ვიდრე დანარჩენი აზერბაიჯანული სოფლები იორმუღანლოში. გამოკითხულების აზრით, იმის გამო, რომ სოფელში არ არსებობს საზოგადოებრივი ტრანსპორტი და შიდა გზებიც მძიმე მდგომარეობაშია, სოფელი იზოლირებულია და პროდუქციის ფასები ამ სოფლების მაღაზიებში უფრო მაღალია. ამიტომ, იძულებულები არიან, მაღალ ფასებში მაინც შეიძინონ პროდუქტები.

გამოკითხულები აცხადებენ, რომ ლამბალოს და დანარჩენი სოფლების მოსახლეობა უფრო შეძლებულია, ვიდრე დუზაგრამისა და პალდოს მცხოვრებლები. სხვა სოფლების მოსახლეობამ საქართველოში დარჩენა ამჯობინა 90-იან წლებში, ხოლო დუზაგრამისა და პალდოს მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი აზერბაიჯანში გადავიდა საცხოვრებლად. დღეს ამ ორი სოფლის მოსახლეობის აბსოლუტური უმრავლესობა ან დღიურ მუშად მუშაობს, ან მაღალპროცენტიანი სესხების გამო ვერ აგრძელებს მცირე ბიზნესის გაძღოლას.

ქართულ სოფლებთან შედარებით, კიდევ უფრო გაჭირვებით ვცხოვრობთ: გარდა იორმუღანლოს სხვა სოფლებისა, დუზაგრამისა და პალდოს მოსახლეობა თავს უთანასწორო მდგომარეობაში აღიქვამს საგარეჯოს ქართულ სოფლებთან შედარებითაც. ისინი აცხადებენ, რომ ქართულ სოფლებში არის გზაც, საბავშვო ბაღიც, ბაზისური ინფრასტრუქტურაც, ბაღებიც და სკვერებიც, მათი სოფელი კი ყველაზე ცუდ მდგომარეობაშია. ისინი შიდა საუბრებში საკუთარ სოფელს იორმუღანლოს „ციმბირსაც“ უწოდებენ.

6. *(გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს*

ქალების ყოფა: მონაწილეების თანახმად, დუზაგრამისა და პალდოს ქალები, იორმუღანლოს დანარჩენ სოფლებში მცხოვრებ ქალებთან შედარებით, უფრო აქტიურები არიან. გამოაკითხულთა თქმით, 90-იან წლებში ამ ორი სოფლის მოსახლეობის მიერ საქართველოს დატოვებისა და აზერბაიჯანში გადასვლის ერთ-ერთი მიზეზიც, სწორედ გოგონებისთვის ხარისხიანი განათლების უზრუნველყოფა იყო. მიუხედავად ამისა, ქალების მდგომარეობა არც ამ სოფლებშია განსაკუთრებულად დაცული. უნდა აღინიშნოს, რომ ინტერვიუებისა და ფოკუს ჯგუფების დროსაც, ამ სოფლების ქალები უფრო აქტიურად იყვნენ ჩართულნი დისკუსიის და მსჯელობის პროცესში. თემის შიგნით არსებული მკაცრი იერარქიები ყოველდღიურ ცხოვრებაში ძლიერად არის გამჯდარი ქალების ინტერესების უგულებელყოფის ხარჯზე.

სოფლები მუღანლო და ქეშალო

ზოგადი ინფორმაცია სოფელ მუღანლოსა და ქეშალოს შესახებ

სოფლები - მუღანლო და ქეშალო გაერთიანებულია მუღანლოს ადმინისტრაციულ ერთეულში. ადმინისტრაციული ერთეული საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემადგელობაში შედის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან 37 კილომეტრითაა დაშორებული. ორივე სოფელში ერთად 6500 ადამიანი ცხოვრობს. ადმინისტრაციულ ერთეულში მოქმედებს ორი საჯარო სკოლა და ერთი საბავშვო ბაღი. სოფელში ფუნქციონირებს ერთი სუნიტური და ერთი შიიტური მეჩეთი.

სოფელ მუღანლოსა და ქეშალოს საჭიროებები:

1. *(აღქმა) საკითხი, რომელიც აღიქმება თემში პრობლემად*

ჩაგრულობის განცდა: მუღანლოსა და ქეშალოს მოსახლეობაში ძლიერია მიტოვებულობისა და ჩაგრულობის განცდა. ისინი აცხადებენ, რომ მათ სოფლებში საბაზო სოციალური ინფრასტრუქტურაც კი არ არის. სოფელში არ არის არც გზა, არც წყალი, არც საბავშვო ბაღი და არც ნაგვის ურნები. ფოკუს ჯგუფის დროს, ერთ-ერთმა მონაწილემ თავიანთი სოფლის ცხოვრება შეადარა მომთაბარე (ადგილობრივი მოსახლეობა მომთაბარეობას უწოდებს „ბინა“-ს) ცხოვრებას, რადგანაც, როგორც მთაში, არც მათ სოფელშია მოწყობილი ბაზისური ინფრასტრუქტურა. მძიმე მდგომარეობაშია სოფელ ქეშალოს სკოლა, რომელიც ვერ იტევს ბავშვებს და სკოლა იძულებულია, სასწავლო პროცესისთვის იჯარით აიღოს მოსახლეობის სახლები.

მოსახლეობა ამბობს, რომ მათ ყველა ერთი და იმავე კითხვებით მიმართავს, თუ რა სჭირდებათ მათ, განსაკუთრებით კი წინასაარჩევნო პერიოდში. მაგრამ მათი ყოფა უკვე წლებია

რეალურად არ იცვლება. შესაბამისად, შეხვედრის დასაწყისში რთული აღმოჩნდა მოსახლეობასთან პრობლემების შესახებ საუბარი. ისინი აცხადებდნენ, რომ ბევრი ადამიანი მოდის მათთან, ისმენს მათ პრობლემებს, მაგრამ ვერავინ აგვარებს და მოსახლეობაც დაიღალა ყოველ ჯერზე ერთსა და იმავე პრობლემებზე საუბრით.

სერვისებზე ხელმისაწვდომობა: ქეშალოსა და მუღანლოს მოსახლეობაში სუსტია განცდა, რომ საჭიროების შემთხვევაში მათ შეუძლიათ მიმართონ თვითმმართველობას. ყველა მონაწილე აცხადებს, რომ თანამდებობის პირები საკუთარი კეთილდღეობისთვის უფრო მოდიან თანამდებობაზე. უიმედოდ დარჩენილი მუღანლოს მოსახლეობა იმასაც აცხადებდა, რომ მთავარია არაფერი წაართვას სახელმწიფომ და ურჩევნიათ საკუთარი პრობლემები თვითონვე მოაგვარონ. ორივე სოფელში, ფოკუს ჯგუფების დროს, მონაწილეები აცხადებდნენ, რომ ვერ მივლენ მუნიციპალიტეტში და ვერ მოითხოვენ რაიმე სერვისს, რადგანაც არ იციან სახელმწიფო ენა და საჭიროა ვინმე ნაცნობი წაიყვანონ თან. ხშირად, არჩევენ, საკუთარი პრობლემის მოგვარება სთხოვონ მერის რწმუნებულს, რომელიც შესაბამისი „პატივისცემის“ შემთხვევაში, უფრო მარტივად მოაგვარებს ამა თუ იმ მოქალაქის პრობლემას. რაც შეეხება კოლექტიური პრობლემების (სასმელი წყალი, ნაგვის ურნები, გზა, საბავშვო ბაღი და ა.შ.) მოგვარებას, გამოკითხულებს ამ საკითხებში ჩარევაც კი არ სურთ.

2. *<u>(რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტ ადამიანს აწუხებს თემში</u>*

სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა: სასმელი წყალი მიეწოდება მუღანლოს მოსახლეობას, თუმცა ქეშალოში ჯერ კიდევ დგას სასმელი წყლის პრობლემა. ქეშალოში აცხადებენ, რომ სასმელი წყლის პრობლემა სოფელში ყველაზე მეტ ადამიანს აწუხებს. მუღანლო და ქეშალო ერთ ადმინისტრაციულ ცენტრშია გაერთიანებული, ამ ადმინისტრაციული ერთეულის მაჟორიტარი დეპუტატი საკრებულოში კი, სოფელ მუღანლოდან არის. ქეშალოელებს მიაჩნიათ, რომ ეს ადამიანი მხოლოდ საკუთარი სოფლის პრობლემებს აგვარებს და ქეშალოს უყურადღებოდ ტოვებს. თავის მხრივ, მუღანლოს მოსახლეობა მიიჩნევს, რომ სხვა სოფლებთან შედარებით, მათ სოფელში ძალიან ბევრი პრობლემაა.

საზოგადოებრივი ტრანსპორტი: საზოგადოებრივი ტრანსპორტის საჭიროებაზე იორმუღანლოში ძირითადად სტუდენტები და ახალგაზრდები საუბრობენ. გამოკითხულების თანახმად, სოფელში რამდენიმე კერძო მძღოლია, რომელიც საკუთარი მიკროავტობუსით უზრუნველყოფს დედაქალაქის რამდენიმე ბაზარში სოფლის მეურნეობის პროდუქტების გასაყიდად წასული ადგილობრივი ფერმერების თბილისში ტრანსპორტირებას. მაგრამ სტუდენტებისთვის მათი განრიგი მოუხერხებელია, შედეგად, ახალგაზრდების მნიშვნელოვანი ნაწილი იძულებულია ტაქსის ძვირი მომსახურებით ისარგებლოს სოფლიდან ცენტრალურ გზამდე მისასვლელად. ცენტრალურ გზაზეც, ტრანსპორტმა, შესაძლოა, საათების განმავლობაში არ გაუჩეროთ. უტრანსპორტობის გამო, ახალგაზრდებს ხშირად კილომეტრების გავლა ფეხით უწევთ. ხოლო ოჯახების ნაწილი საკუთარ შვილებს (უმეტესად გოგონებს), უტრანსპორტობის საბაბით, სწავლის გაგრძელებაში ხელს არ უწყობს.

3. *<u>(ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც თემს ყველაზე დიდი ხანია აწუხებს</u>*

ქეშალოს სკოლის შენობა: ქეშალოს სკოლა წლების განმავლობაში მძიმე მდგომარეობაში იყო. მართალია სკოლის შენობა გაარემონტეს და განაახლეს, მაგრამ იგი სოფლის ბავშვებს ვერ იტევს. სკოლის ადმინისტრაცია შეზღუდული საკლასო ოთახების გამო, იძულებულია სოფლის მოსახლეობისგან იჯარით აიღოს სკოლის მეზობლად აშენებული ოთახები. მოსახლეობა კმაყოფილია იმ ცოდნით, რასაც სკოლის მასწავლებლები მათ შვილებს გადასცემენ, თუმცა სკოლის ინფრასტურქტურა ის პრობლემაა, რომელიც, მოსახლეობის აზრით, დღემდე არსებობს.

სკოლამდელი განათლების დაწესებულება: როგორც იორმუღანლოს სხვა სოფლებში, ქეშალოსა და მუღანლოშიც ითხოვს მოსახლეობა სკოლამდელ განათლებას. მართალია, სოფელ მუღანლოში არის საბავშვო ბაღი, მაგრამ ის მხოლოდ 30 ბავშვს იტევს, ამიტომ, მოსახლეობა აცხადებს, რომ ის არ არის საკმარისი მთელი სოფლისთვის და ბაღში, ძირითადად მათი ბავშვები დადიან, ვისაც ნაცნობები და კავშირები აქვს. ქეშალოს მოსახლეობა დადებითად აფასებს კომპანია „სოკარის“ მიერ სოფელში ბაღის მშენებლობას.

4. *<u>(სიხშირე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება თემში</u>*

სოფელში შესასვლელი ხიდი: ქეშალოს და მუღანლოს მოსახლეობისთვის სოფელში შესასვლელი ხიდის მდგომარეობა კრიტიკულად მნიშვნელოვანია. ისინი აცხადებენ, რომ ხიდის ექსპლუატაციის ვადა გასულია, თუმცა არავინ აქცევს ყურადღებას. მოსახლეობის ნაწილის თანახმად, სოფლელთან ახლოს უცხოელი ბიზნესმენის მიერ შესყიდულ მიწის ნაკვეთზე ხშირია ტრაილერების და სატვირთო ავტომობილების მოძრაობა. მათი აზრით, სწორედ ამ სატვირთო მანქანებმა გამოიყვანეს ხიდი მდგომარეობიდან, ახლა კი სასწრაფო რეაბილიტაციას საჭიროებს.

5. *<u>(სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია</u>*

სასოფლო-სამეურნეო მიწები: სასოფლო-სამეურნეო მიწების პრობლემა აქტუალურია როგორც ქეშალოში, ისე მუღანლოში. ქეშალოს მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფელში მიწა სახლის ასაშენებლადაც კი აღარ აქვთ, მაგრამ, მიუხედავად ამისა, სოფლის რწმუნებულები და საკრებულოს წევრები არაფორმალურად განაგრძობენ მიწების მისაკუთრებას. მუღანლოს მოსახლეობა, თავის მხრივ, აცხადებს, რომ მათ მიწებს სახელმწიფო წლების განმავლობაში უკანონოდ ყიდდა და ახლა სოფლის მოსახლეობა მიწების გარეშეა დარჩენილი.

6. *<u>(თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას</u>*

სხვა სოფლებთან საკუთარი სოფლის შედარება: გამოკითხულები აცხადებენ, რომ კარგად ხედავენ, რომ სიღარიბე და უმუშევრობა მთელ ქვეყანაშია, და რთულია, თავიანთ სოფელში ამ კუთხით რაიმე ექსკლუზიურ საკითხზე საუბარი. თუმცა, ქეშალოს და მუღანლოს მოსახლეობის თანახმად, საგარეჯოს ქართულ და აზერბაიჯანულ სოფლებს შორის განსხვავება მაინც თვალშისაცემია. მათი თქმით, გაზისა და ელექტროენერგიის გარდა, მათ არაფერი აქვთ. მოსახლეობა აცხადებს, რომ მათაც, ქართული სოფლების მსგავსად, სჭირდებათ სკვერები და პარკები, ახალგაზრდული ცენტრები, სპორტული დარბაზი და ა.შ.

7. *<u>(გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს</u>*

ქალების ყოფა: სოფელ ქეშალოსა და მუღანლოში ქალების ყოფა განსაკუთრებით მძიმეა. ამ სოფლებში ქალების ძირითადი ნაწილი საოჯახო მეურნეობითა და ბავშვებზე ზრუნვით არის დაკავებული. აქ ქალებისთვის სახლიდან მარტო გასვლაც კი პრობლემურია. შესაბამისად, ისინი საკუთარი დროის მნიშვნელოვან ნაწილს სახლებში ატარებენ. ქალებისთვის არ არსებობს თავშეყრის სივრცეები. თემში ჯერ კიდევ განსაკუთრებით ძლიერია პატრიარქალური ნორმები, რომლის მიხედვითაც, ქალების საჯარო სივრცეში შრომაც კი მიუღებელია. გოგონების განათლების მხარდაჭერა ამ სოფლებში სუსტია. თუმცა სოფელ ქეშალოს მკვიდრი ერთ-ერთი აქტივისტი ქალი მნიშვნელოვან გამოცდილებას ქმნის საკუთარი თემისთვის და აქტიურად მუშაობს ქალთა გაძლიერებაზე. მან და მისმა მეგობრებმა იორმუღანლოდან, 2022 წელს ჩამოაყალიბეს „იორმუღანლოს სათემო ცენტრი“, რომელიც სოფლად მცხოვრები ქალებისა და ფერმერების საჭიროებების ადვოკატირებაზე მუშაობს. ასევე, სათემო ცენტრი მოსახლეობაში ატარებს ქართული ენის უფასო კურსებს, მათ შორის, ქალებისთვის. თითქმის ყველა ინფრასტრუქტურული გამოწვევა ქეშალოსა და მუღანლოში, როგორიცაა სასმელი წყალი, საბავშვო ბაღები, სკვერებისა და პარკების არარსებობა, განსაკუთრებით მძიმე ტვირთად აწვება ამ სოფლის ქალებს.

სოფელი კაზლარი

ზოგადი ინფორმაცია სოფელ კაზლარის შესახებ

სოფელი კაზლარი, სოფელ თულართან ერთად, გაერთიანებულია თულარის ადმინისტრაციულ ერთეულში. კაზლარი საგარეჯოს მუნიციპალიტეტის შემადგელობაში შედის და მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრიდან 40 კილომეტრითაა დაშორებული. კაზლარში 1500 ადამიანი ცხოვრობს. სოფელში არ აქვთ არც სკოლა და არც საბავშვო ბაღი. სოფელში მოქმედებს ერთი სუნიტური მეჩეთი.

სოფელ კაზლარის საჭიროებები:

1. *(აღქმა) საკითხი, რომელიც აღიქმება თემში პრობლემად*

სოფლის შიდა გზები: ფოკუს ჯგუფში მონაწილე კაზლარის მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილისთვის სოფლის გზა ყველაზე დიდი პრობლემაა. მათი თქმით, მათ არასდროს ჰქონიათ მოასფალტებული გზა. შიდა გზები, მოსახლეობის აზრით, ის საკითხი, რაც პირველ რიგში საჭიროებს მოგვარებას. მათივე განცხადებით გზის პრობლემა დაკავშირებულია ტრანსპორტის საკითხთანაც. რადგანაც გზა არ არის, სოფელში არც საზოგადოებრივი ტრანსპორტი მუშაობს, რაც მძიმე მდგომარეობაში აყენებს ახალგაზრდებს. მოსახლეობა აცხადებს, რომ უხარიათ სოფლიდან გასვლა, რადგანაც მათი სოფლის შემდეგ გზა მოასფალტებულია.

აბმულატორია და აფთიაქი: გამოკითხულები აცხადებენ, რომ საჭიროა მათ სოფელში მოეწყოს აფთიაქი და ამბულატორია, რადგანაც, წნევის გასაზომად, თუ ერთი წამლის შესაძენად, იძულებულები არიან, უგზოობის და უტრანსპორტობის პირობებში, კილომეტრები გაიარონ. მონაწილეების თქმით, რადგანაც იციან გზის მდგომარეობა, ხშირად, საკუთარი ოჯახის წევრსაც კი არ სთხოვენ აფთიაქში ან ექიმთან წაყვანას. მათივე თქმით, სოფელში

ამბულატორია ან აფთიაქი რომ ჰქონოდათ, საკუთარ ჯანმრთელობაზე ზრუნვა უფრო გაუადვილდებოდათ.

2. *(რაოდენობა) პრობლემა, რომელიც ყველაზე მეტ ადამიანს აწუხებს თემში*

სასოფლო-სამეურნეო მიწა: სოფელ კაზლარში თითქმის ყველა ოჯახს აქვს სასოფლო სამეურნეო მიწის პრობლემა. ეს საკითხი მოსახლეობისთვის უმთავრეს პრობლემებს შორის სახელდება. ამასთანავე, გამოკითხვის მონაწილეები აცხადებენ, რომ სოფლის მიწებს უკანონოდ ინაწილებენ ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები, რიგითი მოქალაქე კი, რომელსაც მიწის ნაკვეთი სჭირდება, უმიწოდ რჩება.

მოსახლეობა **კმაყოფილია,** რომ სოფელში გარე განათების პრობლემა ძირითადად მოგვარებულია. **ნაგვის ურნები კი,** მხოლოდ სოფლის შემოსასვლელშია **განთავსებული** და ისინი სოფლის შიგნითაც საჭიროა.

3. *(ისტორიულობა) პრობლემა, რომელიც თემს ყველაზე დიდი ხანია აწუხებს*

სკოლა და სკოლამდელი განათლება: სოფელ კაზლარში არ ფუნქციონირებს არც სკოლა და არც სკოლამდელი განათლების დაწესებულება. მოსახლეობა აცხადებს, რომ სოფელში არც საბჭოთა კავშირის დროს იყო საგანმანათლებლო დაწესებულებები, ამიტომაც ისინი მიჩვეულნი არიან ამ ყოფას. თუმცა, საბჭოთა კავშირის შემდგომ, სოფელი არსებითად გაიზარდა და დღეს უკვე 400-ზე მეტი ოჯახია. რადგანაც მთელ იორმუღანლოში არ არსებობს საბავშვო ბაღი, ეს რესურსი მიუწვდომელია კაზლარის ბავშვებისთვისაც. ხოლო სასკოლო განათლებას კაზლარის ბავშვები თულარის საჯარო სკოლაში იღებენ. საამისოდ იყენებენ სკოლის ტრანსპორტს, მაგრამ როგორც მოსახლეობა განმარტავს, ეს საკითხიც პრობლემებთან არის დაკავშირებული, რადგანაც ერთ მანქანაში ორჯერ მეტ სკოლის მოსწავლეს სვამენ და მშობლები ამბობენ, რომ ამით უსაფრთხოების ნორმები ირღვევა.

4. *(სიხშირე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ხშირად გვხვდება თემში*

სასმელი და სარწყავი წყალი: სოფელ კაზლარში სასმელი წყალი გრაფიკით მიეწოდებათ. თუმცა მოსახლეობა აცხადებს, რომ წყალს ხშირად კეტავენ და მოსახლეობას მაინც მანქანებით და ურმებით უწევს სასმელი წყლის სახლებამდე მიტანა.

5. *(სიმძიმე) პრობლემა, რომელიც ყველაზე ინტენსიური და აუტანელია*

სოფელში შესასვლელი ხიდი: მიუხედავად იმისა, რომ სოფელი კაზლარი ყველაზე დაშორებული სოფელია საგარეჯოდან, სოფლის ხიდი მათთვისაც ყველაზე მძიმე პრობლემად სახელდება. მოსახლეობა აცხადებს, რომ ყოველ ჯერზე, როცა ამ ხიდით სარგებლობენ, ეშინიათ, რამე არ დაემართოთ. მოსახლეობა ამბობს, რომ ამ თემაზე ხშირია საუბარი სოფლის ბირჟაზე და ამ საკითხს ყოველთვის აყენებენ საკუთარი სოფლის რწმუნებულთანაც, თუმცა ამ პრობლემის მოგვარების იმედი არ აქვთ.

კაზლარიდან ცხვრის გადასარეკი ბილიკის პრივატიზების საკითხი: მოსახლეობა აცხადებს, რომ ერთ-ერთი ყველაზე მძიმე პრობლემა ცხვრის გადასარეკი ბილიკის პრივატიზებაა, რომელიც სოფლის მიწების მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად, კონკრეტულმა უცხოელმა

ინვესტორმა შეიძინა. მოსახლეობა აცხადებს, რომ ცხვრის მთაზე გადასარეკად ახლა უფრო გრძელი გზის გავლა უწევთ.

6. *(თანასწორობა) პრობლემა, რომელიც არღვევს თანასწორობის უფლებას*

იორმუღანლოში ჩვენ ყველაზე დაჩაგრულები ვართ: კაზლარის მოსახლეობა მიიჩნევს, რომ იორმუღანლოს მოსახლეობაში ყველაზე მეტად დაჩაგრულები ისინი არიან. გამოკითხულთა თქმით, მათ სოფელში არაფერია განვითარებული და აქვთ განცდა, რომ ყველასგან მივიწყებულები არიან. სოფელში არ აქვთ ინფრასტრუქტურა, გზა, სკოლა, ბაღი, თუმცა, ამასთანავე, საკუთარ თავს და სოფელს შრომისმოყვარეებად მიიჩნევენ და ამბობენ, რომ სხვა სოფლებზე უარესად არ ცხოვრობენ. ამის მიუხედავად, ბაზისურ სოციალურ ინფრასტრუქტურას ითხოვენ.

7. *(გენდერი) პრობლემა, რომელიც ჩაგრულ მდგომარეობაში აყენებს ქალებს*

ქალების ყოფა: სოფელ კაზლარში მცხოვრები ქალები საკუთარ პრობლემებზე ხშირად პირდაპირ არ საუბრობენ. ასაკოვანი ქალები, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ფოკუს ჯგუფებში, ხშირად აყენებდნენ სოფლის შიდა გზების, იორმუღანლოს ხიდის და გადასარეკი ბილიკების საკითხს. ამასთანავე, ერთ-ერთი მონაწილე ამ საკითხს იმით ხსნიდა, რომ უგზოობის გამო, ქალები საკუთარ შვილებსაც კი ვერ სთხოვენ წამლის საყიდლად ან ამბულატორიაში წაყვანას. ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი სოფელში ითხოვს საბავშვო ბაღსა და სკოლას, რადგანაც, შვილების აღზრდისა და მოვლა-პატრონობის ტვირთი ხშირად მათზე გადადის. ქალების მნიშვნელოვანი ნაწილი აცხადებს, რომ მათ სურთ მათმა გოგონებმა ისწავლონ, თუმცა უგზოობისა და უტრანსპორტობის პირობებში, ისინი ვერ აღწევენ ამ მიზანს.

ქალების ყოფა იორმუღანლოში განსაკუთრებით მძიმეა. ბოლო წლების განმავლობაში, ოჯახების ნაწილი საკუთარი შვილების (გოგონების) განათლებას მხარს უჭერს. თუმცა რვავე სოფელში ძლიერია პატრიარქალური ცრურწმენები ქალების როლის შესახებ და ქალების საჯარო ცხოვრებაში მონაწილეობა, სხვა რეგიონებისგან განსხვავებით, წაუხალისებელია. ადრეულ ასაკში ქორწინების საკითხი, მიუხედავად შემცირებული სტატისტიკისა, ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება იორმუღანლოში.

შეჯამება

იორმუღანლოს რვა სოფელში მცხოვრები მოსახლეობა საგარეჯოს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის მესამედზე მეტს წარმოადგენს. თუმცა ამ სოფლების აბსოლუტური უმრავლესობა მუნიციპალიტეტისგან და სახელწიფოსგან ვერ იღებს საჭირო რესურსებსა და სერვისებს, ხოლო ისეთი ბაზისური ინფრასტრუქტურა, როგორიცაა სასმელი წყალი, გზა, საბავშვო ბაღი, სკოლა და ა.შ., ჯერ კიდევ მიუწვდომელია ამ სოფლებში მცხოვრები მოსახლეობისთვის. სოფლებს საერთო პრობლემები აქვთ - მიწის და საძოვრების ხელმისაწვდომობის საკითხი, სოფელში შესასვლელი ხიდი, რომელიც სახელმწიფოს მხრიდან დროულ და სისტემურ რეაგირებას საჭიროებს. მათ შორის, არსებითია მიწების სავარაუდო უკანონო განსხვისების პრაქტიკები სახელმწიფომ ეფექტიანად გამოიძიოს და მოსახლეობის დარღვეული უფლებების აღდგენის შესაძლებლობა მისცეს. ამასთანავე, თითქმის ყველა

სოფელში ვხვდებით ისე სპეციფიკურ საკითხებს, რომელთა მოუგვარებლობაც არღვევს ადამიანის ბაზისურ უფლებებს.

მოსახლეობაში ძლიერია განცდა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობისთვის მათი საჭიროებები და ინტერესები ნაკლებად პრიორიტეტულია. ხიდჩატეხილობა ადგილობრივ თვითმმართველობასა და მოსახლეობას შორის, თვალშისაცემია და ძლიერი. ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლობა სუსტია საკრებულოში, ხოლო მერიის ადმინისტრაციაში იორმუღანლოდან არავინაა დასაქმებული. მერიაში არ არსებობს თარგმანის რესურსებიც, რომელის მოსახლეობას ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობაში შეუზღუდავი მონაწილეობის შესაძლებლობას მისცემდა. ერთადერთი კავშირი მოსახლეობასა და მერიას შორის, არიან მერის რწმუნებულები ამ სოფლებში, თუმცა, მოსახლეობასთან საუბარში ირკვევა, რომ ისინი ხშირად კორუფციულ საქმიანობაში არიან ჩართულები და მეტწილად პირადი ინტერესებით მოქმედებენ.

სერვისებზე ხელმიუწვდომლობისა და ბაზისური ინფრასტრუქტურის არარსებობის პირობებში, მოსახლეობა კარგად ხედავს, რომ მეზობელ ქართულ სოფლებში არსებული მდგომარეობა და მათი ყოფა მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან, რაც ცხადია, რომ მოსახლეობაში ნიჰილიზმსა და ფრუსტრაციას აძლიერებს.

იორმუღანლოში მოქმედებს იორმუღანლოს სათემო ცენტრი, რომელიც საკუთარი თემის საჭიროებების ადვოკატირებაზე მომუშავე ადგილობრივმა ახალგაზრდებმა დააფუძნეს. ორგანიზაცია სხვადასხვა მიმართულებით მუშაობს, მათ შორის, 2022 წელს პეტიციით მიმართეს საგარეჯოს მუნიციპალიტეტს სკოლამდელი დაწესებულების მშენებლობის თხოვნით. იორმუღანლოს სათემო ცენტრთან ერთად, სოფელში მოქმედებს განათლების ალტერნატიული ცენტრი, „ნათელი მომავალი“, რომელიც ადგილობრივმა მასწავლებლებმა დააფუძნეს და მიზნად ისახავს ახალგაზრდების განათლებას. ახალგაზრდების თვითორგანიზება და აქტიურობა აჩენს იმედს, რომ სწორედ ისინი შეძლებენ ადგილობრივი თვითმმართველობის ანგარიშვალდებულებისა და პასუხისმგებლობის გაზრდას და კოლექტიური მოქმედებით მოსახლეობის მწვავე საჭიროებების, წუხილების და ინტერესების აქტიურ დაყენებას პოლიტიკურ დღის წესრიგში.